საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 10263063**

თარიღი:**02/11/2026**

,,აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზება) მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის მერის ბ10.10263005 27/10/2026 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზება) მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის მერის ბ10.10263005 27/10/2026 ბრძანებაში, კერძოდ ბრძანების პირველი პუნქტის ,,1.2“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.2 აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება, ექსპლუატაციაში ნამყოფი, 1994 წელს გამოშვებული MERSEDES BENZ C180 სედანი (სახ. ნომერი AD-315-DD, საიდენტიფიკაციო ნომერი VIN: ,,WDB2020181A107727“, ტექ.პასპ. EV0969244), საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 1750.00 (ერთიათასშვიდასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რაც შეადგენს აღნიშნული მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 2500.00 (**ორიათასხუთასი**) ლარის - 70%-ს. ბიჯის ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ის ოდენობით, უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბე-ს ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით.“;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ N 247).

ირაკლი პერტენავა

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი